პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა
და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის 22-ე წელი.

№ 251 (2971) ● ოთხშაბათი, 22 დეკემბერი, 1965 წ. ● ფასი 3 კაპ.

ო. ფხაკაძე —
1965 წლის სპორტსმენი № 1

ყოველი წლის მიწურულში, მსოფლიოს ხუთსავე კონტინენტის ქვეყნებში ხდება სეზონის უძლიერეს სპორტსმენთა ათეულების განსაზღვრა. ასეთი კლასიფიკაცია ტრადიციულად საბჭოთა კავშირშიც ტარდება და უნდა ითქვას, რომ როგორც წესი, პირველ ადგილს მეტწილად „სპორტის დედოფლის" — მძლეოსნობის რაინდები იკავებენ.

წელს როგორც ჩანს, ეს ტრადიცია დაირღვევა. საბჭოთა სპორტის ისტორიაში პირველად უძლიერესთა ათეულს სათავეში ველოსიპედისტი ჩაუდგება. მართალია ხმების შეჯამება არ დამთავრებულა, ბევრ სპეციალისტს ჯერ კიდევ არ გამოუთქვამს თავისი აზრი, მაგრამ უკვე ცხადია, რომ პირველ ადგილს ვერავინ შეეცილება მსოფლიოს ჩემპიონს სპრინტერულ რბოლაში, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს ომარ ფხაკაძეს.

მიმდინარე წლის 24 დეკემბერს, ჩვენი ქვეყნის № 1 სპორტსმენს ცენტრალური ტელეხედვით ვიხილავთ.

თბილისის სპორტკლუბ „განთიადის" ფიზკულტურელთა აქტივის ვალდებულება

საქართველოს კომპარტიის
XXIII, სკკპ XXIII
ყრილობებისა და ოქტომბრის
სოციალისტური რევოლუციის
50 წლისთავის აღსანიშნავად

ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს ყველა კუთხეში ენერგიულად ემზადებიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობისა და ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის საიუბილეო 50 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის. საწარმოებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში იღებენ ვალდებულებებს — გაზარდონ შრომისნაყოფიერება, შეამცირონ საქონლის თვითღირებულება, მეტი დანაზოგი მისცენ დედასამშობლოს.

წამოწყებამ ფართო გამოხმაურება ჰპოვა ფიზკულტურასა და სპორტშიც. ამას წინათ გავეცანით მახარაძის რაიონის სოფელ შემოქმედის, გურჯაანის რაიონის სოფელ ვაზისუბნის კოლმეურნეობებისა და გარდაბნის რაიონის ვარკეთილის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მშრომელთა ვალდებულებებს მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული საქმიანობის ამაღლებისათვის.

სპორტკლუბ „განთიადის" ხელმძღვანელობამ, ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა აქტივთან ერთად, გულდასმით შევისწავლეთ და განვსაჯეთ მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის გაუმჯობესების, ახალგაზრდების სპორტულ მიღწევათა ზრდის რეალური შესაძლებლობანი, დავსახეთ ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობისა და სპორტსმენთა შემდგომი დაოსტატების ღონისძიებანი.

საქართველოს კომპარტიის XXIII, სკკპ XXIII ყრილობებისა და ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის საიუბილეო 50 წლისთავის აღსანიშნავად ვიკისრებთ:

1. ჩვენი ორგანიზაციის საამქროებსა და განყოფილებებს შორის გავშალოთ შეჯიბრება მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის უკეთ დაყენების მიზნით, ვიბრძოლოთ „სპორტკლუბ „განთიადის" საუკეთესო ფიზკულტურული კოლექტივის" სახელის მოსაპოვებლად.

2. ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის საიუბილეო 50 წლისთავისათვის მოვამზადოთ: ა) სპორტის ოსტატები — 5 კაცი (მათ შორის 1967 წელს — 3 კაცი); ბ) პირველთანრიგოსნები — 35 კაცი (1967 წელს — 20 კაცი); გ) სხვა თანრიგის სპორტსმენები — 560 კაცი (1967 წელს — 260 კაცი); დ) საზოგადოებრივი ინსტრუქტორები, მწვრთნელები, ფიზორგები და მსაჯები — 245 კაცი (1967 წელს — 145 კაცი).

3. სპორტსაზოგადოება „განთიადის" წევრთა რიცხვი ავიყვანოთ 3.000 კაცამდე, ხოლო სპორტულ სექციებში რეგულარულად მომეცადინეთა რაოდენობა — 900-მდე.

4. მასობრივ-ფიზკულტურულ მუშაობაში მშრომელთა ფართო მოზიდვით მივაღწიოთ სპორტკლუბის სპარტაკიადის ფინალურ შეჯიბრებებში 2.000 ფიზკულტურელის მონაწილეობას.

5. ყველა საამქროსა და განყოფილების მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკური მთელი პერსონალი გავაერთიანოთ საწარმოო ტანვარჯიშში, რაც ხელს შეუწყობს შრომისნაყოფიერების ზრდას; აქედან გამომდინარე, ფიზკულტურელთა 40 პროცენტი იბრძოლებს „კომუნისტური შრომის დამკვრელის" სახელის მოპოვებისათვის.

6. ყველა დიდ საამქროსა და განყოფილებასთან საზოგადოებრივი ძალებით ავაგებთ ფრენბურთის, კალათბურთისა და მაგიდის ჩოგბურთის მარტივი ტიპის მოედნებს.

7. მოვაწყობთ მასობრივ-ტურისტულ მრავალჭიდს კოჯრისა და არმაზის მიდამოებში. 1966 წელს ამ ღონისძიებაში მონაწილეობას მივაღებინებთ 400 ტურისტს, ხოლო 1967 წელს — 500-ს. ტურისტული საქმიანობის შემდგომი გაშლის მიზნით შევქმნით და აღვჭურავთ ტურისტთა კლუბს.

8. ახალგაზრდებისა და ფიზკულტურელთა ძალებით 1966 წლის I კვარტალში დავიწყებთ სპორტული დარბაზისა და დახურული აუზის მშენებლობას, რისთვისაც შევქმნით სამშენებლო ფონდს ჯართის, ქაღალდის მაკულატურის, ბოთლების ტარის შეგროვებითა და სხვა საზოგადოებრივად სასარგებლო ღონისძიებათა გამართვით. ბაზების მშენებლობებზე თვითეული ფიზკულტურელი საზოგადოებრივი წესით ყოველწლიურად შეასრულებს 50 კაც-საათის სამუშაოს.

9. შეფობას გავუწევთ თბილისის 82-ე, 83-ე, 97-ე, 106-ე, 124-ე სკოლებს, დავეხმარებით მათ მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული საქმიანობის გაფართოებაში.

სპორტკლუბ „განთიადის" გამგეობისა და ფიზკულტურელთა დავალებით:

გ. კოჟლავაშვილი,
სპორტკლუბ „განთიადის" გამგეობის თავმჯდომარე.

ინფორმაციის საათი...

◆ **სოფია, 21 დეკემბერი.** ბულგარეთში მესამე მატჩი გამართეს კიევის „დინამოს" ფეხბურთელებმა. ისინი შეხვდნენ ქვეყნის ჩემპიონს — ადგილობრივი „ლევსკის" სპორტსმენებს და დაამარცხეს — 2:1. სტუმართაგან გოლების ავტორები არიან ბიბა და ხმელნიცკი. უნდა აღინიშნოს, რომ მასპინძლები წამყვან მოთამაშეთა გარეშე გამოდიოდნენ, რადგან ისინი ბელგიის ნაკრებთან მსოფლიო პირველობის შესარჩევი მატჩისთვის ემზადებიან.

◆ **ოტავა, 21 დეკემბერი.** აშშ-ში ერთი მატჩის მოგების შემდეგ სსრ კავშირის ჰოკეისტთა ნაკრები გუნდი კვლავ დაბრუნდა კანადაში და ქალაქ ვიქტორიაში შეხვდა ამ ქვეყნის ნაკრებს. მატჩი მოიგეს მასპინძლებმა — 6:1.

◆ **კაუნასი, 21 დეკემბერი.** დღეს აქ დამთავრდა სსრ კავშირის ჩემპიონატი ხელბურთში ქალთა შორის. ჩემპიონის ოქროს მედლებს ზედიზედ, მეოთხედ დაეუფლნენ მოსკოვის „ტრუდის" სპორტსმენები, „ვერცხლი" მოიხვეჭეს კაუნასის „ჟალგირისის" წარმომადგენლებმა, ხოლო „ბრინჯაო" — ბაქოს „სპარტაკის" ხელბურთელებმა.

◆ **მოსკოვი, 21 დეკემბერი.** დღეს დედაქალაქის სპორტულმა საზოგადოებრიობამ შეხვედრა მოუწყო სსრ კავშირის ჩემპიონებს — მოსკოვის „ტორპედოს" ფეხბურთელებს.

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარემ ნ. რიაშენცევმა საზეიმო ვითარებაში ფეხბურთელებს გადასცა ჩემპიონის ოქროს მედლები.

◆ **სიდნეი, 21 დეკემბერი.** აქ მოხდა თანამედროვეობის ორი შესანიშნავი მორბენლის — რონ კლარკისა და კიპჩონგ კეინოს შეხვედრა 5000 მეტრზე რბენაში. გამარჯვებული უკანასკნელ მეტრებზე გამოირკვა: ფინიშის ხაზი პირველმა კეინომ გადაკვეთა. მისი შედეგია — 13.40,0. კლარკი მას 40 იარდით ჩამორჩა.

ბოლო ტურის წინ

ტალინი, 21 დეკემბერი. მოჭადრაკე ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მე-17 ტურში დამთავრდა კიდევ 5 პარტია: ტაიმანოვმა მოუგო სახაროვს, ბუხმანმა — ლეპიოშკინს. ყაიმით დასრულდა სუეტინ-ვასიუკოვის, მიკენას-ოსნოსისა და კორჩნოი-ბრონშტეინის შეხვედრები. კერესი მოგების შანსებს ინარჩუნებს ლიავდანსკისთან გადადებულ პარტიაში, ხოლო გუფელდ-ფურმანისა და კუზმინ-სიმაგინის შეხვედრები გადადებულია რთულ პოზიციაში.

მე-18 ტურში სახაროვმა მოუგო ლეპიოშკინს, ტაიმანოვმა — სიმაგინს, ხასინმა — ბუხმანს. სუეტინ-შტეინის, ბიხოვსკი-გუფელდის, ლიავდანსკი-პოლუგაევსკისა და ბრონშტეინ-კერესის შეხვედრები ყაიმით დასრულდა. ამრიგად, უკანასკნელი ტურის წინ შტეინს 13 ქულა აქვს, პოლუგაევსკისა და ტაიმანოვს — 12,5-12,5.

„ა" კლასის გუნდი... ბოლო ადგილზე

თბილისის ლენინის სახელობის სპორტდარბაზში დამთავრდა საქართველოს უძლიერეს ფრენბურთელთა ზამთრის ასპარეზობა. ტურნირის ბოლო დღეებში გამართული შეხვედრებიდან აღსანიშნავია თბილისის განათლების განყოფილების გოგონათა ნაკრების გამარჯვება კონსტიტუციის თასის წლევანდელ მფლობელთან, ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდთან შეხვედრაში — 3:1. მეორე მარცხი თასის მფლობელებმა იწვნიეს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფრენბურთელებისგან — 0:3.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ვაჟთა კოლექტივმა იოლად დაამარცხა უნივერსიტეტის სპორტსმენები — 3:0. სამაგიეროდ, მეტად დაძაბული გამოდგა პოლიტექნიკური და ფიზკულტურის ინსტიტუტების ფრენბურთელთა მატჩი, სადაც გამარჯვება წილად ხვდათ მომავალ ინჟინრებს — 3:2.

ვაჟთა გუნდებში I ადგილი მოიხვეჭა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კოლექტივმა. მომდევნო საპრიზო ადგილები წილად ხვდათ პოლიტექნიკური ინსტიტუტის I და II გუნდებს. IV-V-VI ადგილები შესაბამისად დაიკავეს ფიზკულტურის ინსტიტუტის, უნივერსიტეტისა და თბილისის განათლების განყოფილების ფრენბურთელებმა.

ქალებში უძლიერესი აღმოჩნდა პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივი. დანარჩენი ადგილები კი ასე განაწილდა: II. „განთიადი", III. თბილისის განათლების განყოფილების I გუნდი, IV. ფიზკულტურის ინსტიტუტი, V. თბილისის განათლების განყოფილების II გუნდი, VI. სოხუმის „კოლმეურნე".

სოხუმის „კოლმეურნე" რამდენიმე წელია, რაც „ა" კლასის გუნდების საკავშირო გათამაშებაში მონაწილეობს და მის მიერ ამ ტურნირში დაკავებული ბოლო ადგილი, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, მეტად უცნაურ შთაბეჭდილებას ტოვებს. გუნდი საასპარეზოდ სრულიად მოუმზადებელი ჩამოვიდა და ეს არცაა გასაკვირი: აფხაზეთში „ა" კლასის გუნდისთვის ვერ იქნა და ვერ გამოიძებნა სავარჯიშო დარბაზი. როგორც ჩანს, აფხაზეთის სპორტის მესვეურებს თავიანთი ფრენბურთელების ბედი ოდნავადაც არ აწუხებთ.

ტურნირმა ერთხელ კიდევ გვიჩვენა, რომ ახალგაზრდა ფრენბურთელების თამაშის კლასი ჯერ კიდევ დაბალია. ამის მიზეზი იმაში უნდა ვეძიოთ, რომ ჩვენი მწვრთნელების დიდი ნაწილი გულგრილად ეკიდება დაკისრებულ მოვალეობას. და მაინც შეირჩნენ ახალგაზრდა პერსპექტიული მოთამაშეები, რომელთა ოსტატობის ზრდას ეს ცვლილებების სიას უახლოეს დღეებში დაამტკიცებს საქართველოს ფრენბურთის ფედერაცია.

ვ. გუკია.

ჩეხოსლოვაკიელი ტანმოვარჯიშეები ჯერ კიდევ ჩვენი საუკუნის 20-იან წლებში და უფრო ადრეც იდგნენ საერთაშორისო ასპარეზის მოწინავეთა რიგებში და ყველა ქვეყნის სპორტსმენთათვის სანიმუშო ეტალონებად გვევლინებოდნენ ამ სახეობაში. შემდეგ ტანვარჯიშულმა ცენტრმა თანდათანობით გადმოინაცვლა აღმოსავლეთით — ჩვენს ქვეყანაში და იაპონიაში. ჩეხოსლოვაკიელთა ჰეგემონია კარგა ხნით გაქრა.

მაგრამ უკანასკნელ ხანს განახლებულ ქვეყანაში ძველ, უმდიდრეს ტრადიციულ ნიადაგზე კვლავ ამოიწვერა ნორჩი ყლორტები. ეს ტენდენცია კარგა ხანია ხელშესახებ რეალობად იქცა ქალთა სპორტულ ტანვარჯიშში, სადაც ჩეხოსლოვაკიელთა ლიდერმა ვ. ჩასლავსკამ უკვე დაიმკვიდრა მსოფლიოს № 1 ტანმოვარჯიშე ქალის სახელი პირად ჩათვლაში, ხოლო გუნდურში ის და მისი კოლეგები საბჭოთა ნაკრების ძირითად მეტოქეებად მოგვევლინენ. ეს ტენდენცია ხელშესახებ რეალობად იქცა ტანვარჯიშის ახალგაზრდა სახეობაშიც — მხატვრულ ტანვარჯიშშიც, სადაც მსოფლიოს ახლახან ჩატარებულ ჩემპიონატზე — ჩეხოსლოვაკიელებმა მეტად დიდი გამარჯვება იზეიმეს.

ჩვენი მკითხველი უკვე იცნობს მსოფლიოს აბსოლუტურ ჩემპიონს — 19 წლის ჰ. მიჩეხოვას. მის გვერდით კი, გამარჯვებულთა კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე, ღირსეულად დამკვიდრდა კვლავ ჩეხოსლოვაკიელი სპორტსმენი, ახალგაზრდა ჰ. მახატოვა-ბოგუშოვსკა. ეს სოციალისტური ჩეხოსლოვაკიის სპორტის დიდი გამარჯვებაა.

• • •

სურათზე: ჰ. მახატოვა-ბოგუშოვსკა ასრულებს ვარჯიშს უსაგნოდ.

ფოტო ჟურნალ „სტადიონიდან".

ვინ დაეხმარება ბიჭუნებს?

თავდაპირველად ამ სამწუხარო ისტორიის გმირებს გავეცნოთ... ერთის მხრივ — საბჭოს ქ. № 70 და კლდიაშვილის ქ. № 15 კუთხის სახლში მცხოვრებ ბიჭუნებს, მეორეს მხრივ კი — ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის მუშათა მომარაგების განყოფილების უფროსს გ. დაშნელს და მთავარ ინჟინერ შ. ყასაბურს, რომლის გამგებლობაშიც შედის ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილების ყველა საცხოვრებელი სახლი (მათ შორის ისიც, რომელშიც ეს ბიჭუნები ცხოვრობენ).

რა მოხდა, რად დაიძაბა მდგომარეობა უფროსებსა და მოზარდებს შორის?

— ეს ისტორია დაიწყო 1961 წელს, როცა სახლის სარდაფში (იგი შედგება 2 დიდი და 5 მცირე ოთახისაგან) დაუპატიჟებელი „მაცხოვრებელი" — ძეხვის საამქრო ჩაასახლეს.

ჯერ თითქოს ყველაფერი წესრიგში იყო, მაგრამ შემდეგ დაიწყო და რა დაიწყო... გვიან ღამით (არც დღე დაუკლიათ) მოდიოდნენ მანქანები, უკან ბრუნდებოდნენ, კვლავ მოდიოდნენ... იყო გნიასი, აუტანელი ხმაური, აყალმაყალი... და ბოლოს და ბოლოს, მობინადრეთა მოთმინების ფიალა აივსო: მათ დახმარებისთვის მიმართეს პირველი მაისის რაიონის პარტრაიკომსა და აღმასკომს. ამან თავისი შედეგი გამოიღო: ძეხვის საამქროში მუშაობა შეწყვიტეს, მაგრამ... ძალზე ცოტა ხნით. ისევ ახმაურდა ქუჩა-ეზო... კვლავ დაიწერა საჩივარი, კვლავ დაიკეტა საამქრო.

თუ ლოგიკას დავუჯერებთ, ამით ყველაფერი უნდა მოთავებულიყო, მაგრამ შ. ყასაბურმა მაინც არ დათმო — გადაწყვიტა სარდაფი „უქმად" არ გაეჩერებინა და მისი იჯარით გაცემა განიზრახა. ამიერკავკასიის რკინიგზის მუშათა მომარაგების თბილისის განყოფილება სიხარულით შეხვდა ამ „რაციონალიზატორულ" წინადადებას და სათანადო ხელშეკრულების დადებით სარდაფი ახლა საწყობად გადააქცია. 1965 წლის 25 სექტემბერს ამიერკავკასიის რკინიგზის სახლებისა და ნაგებობათა მეოთხე დისტანციის უფროსის მოადგილემ მიწერილობა გაუგზავნა სახლმმართველობის კომენდანტს ლ. კიკნაძეს, რომლითაც მოითხოვდა, განთავისუფლებულიყო აღნიშნული სარდაფი და იგი მობინადრეთა განკარგულებაში გადაეცათ. თითქოს ყველაფერი ნათელია, მაგრამ... ბრძანება არ შესრულდა და ეს საწყობი დღემდე საწყობად რჩება.

და აი, კიდევ საჩივარი; ამჯერად ამ სახლში მობინადრე ბიჭუნებისა; საჩივარი გაზეთ „ლელოს" რედაქციის სახელზე. ნორჩები ითხოვდნენ შველას: დაგვითმეთო ეს სათავსოები, რადიო და ფოტო საქმისთვის განკუთვნილ ოთახებს მოვაწყობთო, ერთ-ერთ მათგანს მაგიდის ჩოგბურთის სექციის სამუშაოდ, მეორეს კი ჭადრაკისა და შაშის სათამაშოდ გამოვიყენებთო, წითელ კუთხესაც მოვაწყობთო... ერთი სიტყვით, ბიჭუნებმა საკუთარი და მშობლების წუხილიც გამოხატეს...

რედაქციის დავალებით ვესტუმრეთ ამ სახლს, გავიცანით მობინადრე ბიჭუნებიც, მათზე მოზრდილებიც და ბუნებრივია, მათი მშობლებიც. იცით, რა შესანიშნავი ახალგაზრდები ცხოვრობენ ამ სახლში (400 მობინადრიდან 100-ზე მეტი ჭაბუკი და ქალიშვილია)?! აი, თუნდაც თბილისის მე-2 საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლე გ. თავდიდიშვილი. იგი 17 წლისაა, მაგრამ უკვე სპორტის ოსტატია სროლაში. ჭაბუკი მარტო ამ სახეობით როდია გატაცებული — რადიოსაქმეშიც ბევრი არა ჰყავს ტოლი.

გაიცანით ამ სახლში მობინადრე სხვა ახალგაზრდებიც: თ. იმნაიშვილი — მუშაობს თბილისის ავტოსარემონტო ქარხანაში, სწავლობს მუშა-ახალგაზრდობის სკოლის X კლასში, თავისუფალ დროს სახლის ნორჩ ფეხბურთელებს ავარჯიშებს. აი, კიდევ ერთი — ლ. საფარიანი, გატაცებულია რადიოსაქმით, არც საჭიდაო ხალიჩაზე გრძნობს თავს ცუდად — I-თანრიგოსანი მოჭიდავეა, ლ. მიქაბერიძე — მეთერთმეტეკლასელი ფოტომოყვარული...

აქ მობინადრე ახალგაზრდები უქმად ყოფნას არ არიან შეჩვეული, თვითეული რაღაც სასიკეთო საქმითაა დაკავებული. და მით უფრო საწყენია, რომ სპორტით, სწავლით დაინტერესებულ, მტკიცე და სიცოცხლით სავსე ჭაბუკებს „დიდი ძიები" დახმარების ნაცვლად ათასგვარ დაბრკოლებას უქმნიან.

ჩვენ უფროსებსაც ვესაუბრეთ. აი, რა გვითხრეს მათ:

მ. ხახიშვილი, ექიმი: თითქმის სამი თვეა, რაც ბიჭები სახლმმართველობას დახმარებისთვის მიმართავენ, მაგრამ, სამწუხაროდ, შედეგი ჯერჯერობით არ ჩანს.

დ. ოგანეზოვი, საბინაო კომიტეტის წევრი: საბინაო კომიტეტის წევრებმა რის ვაივაგლახით გავაუქმებინეთ ძეხვის საამქრო, მაგრამ სარდაფები მაინც სხვას დარჩა. ახლა ჭაბუკებმა ითავეს ეს საქმე და რა მიიღეს? არც მეტი და არც ნაკლები: გულგრილობა. კარგი, ჩვენ — უფროსებს — გვაწვალებენ, მოზარდ თაობას რაღას ერჩიან?

ნ. სავანელი, პენსიონერი: ბავშვებს აუცილებლად უნდა დავეხმაროთ. ამ ჯანმრთელ, ცოცხალ ბიჭუნებს ხელი უნდა შევუწყოთ ყველაფრით. თავს არ ვზოგავთ, მაგრამ წინ იმდენი დაბრკოლება აღგვიდგა, რომ სხვებმაც, უფრო კომპეტენტურმა პირებმაც უნდა აიმაღლონ ხმა...

ბიჭუნებმა თავიანთ კრებაზეც მიმიწვიეს. იმსჯელეს საკუთარ გასაჭირზე, მიიღეს დადგენილება და კრების ოქმის პირი გ. დაშნელთან გამატანეს. აი, რა პასუხი მივიღე დაშნელისაგან: „სათავსოების იჯარის საფასურად სახლმმართველობას თვეში 105 მანეთს ვუხდით, ჩვენც ვართ დაინტერესებული (!?) გავანთავისუფლოთ საწყობები... ახლა საწყობში გაზის ბალონების განმმუხტველებილა დაგვრჩა, მაგრამ მოსკოვიდან გაზის ბალონებს ველით, როგორც კი ჩამოგვივა, ხელშეკრულებას გავაუქმებთ სახლმმართველობასთან და სარდაფებს გავანთავისუფლებთ..." უცნაური ლოგიკაა. რად უნდა უცადონ ბიჭებმა საბარგო მატარებლის ჩამოსვლას?

ახლა შ. ყასაბურსაც მოვუსმინოთ: „ამ საქმიდან არაფერი გამოვა, მე ჯერ საქვაბეების (!?) საქმე მაქვს მოსაგვარებელი, შემდეგ ვნახოთ, ჯერჯერობით დრო არა მაქვს"... ეს პასუხიც უცნაურია, მაგრამ ფაქტია.

საკვირველია, სამწუხაროა, უფრო მეტიც — აღმაშფოთებელია ამ ხელმძღვანელთა მოქმედება. მაგრამ ჩვენ გვჯერა, რომ მოჯადოებულ წრეში მოხვედრილი ჭაბუკები თავისას გაიტანენ, ლახტის წრეში მოქცეული დიდი ძიები კი ალბათ საბოლოოდ შეიგნებენ, რომ გულგრილობას კარგი ნაყოფი არასოდეს მოაქვს.

არც მოიტანს!

ვ. ბუკინი.

მედიცინის მხარდამხარ

ჩვენი რესპუბლიკის მთელ რიგ სამკურნალო დაწესებულებებსა და სანატორიუმებში სამკურნალო ფიზკულტურის სპეციალისტებად მუშაობენ საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში მომზადებული კადრები. ისინი არა მარტო სამკურნალო პროცედურების ჩატარებას ხელმძღვანელობენ, არამედ ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის მოთავენიც არიან.

წყალტუბოს სანატორიუმ „რკინიგზელის" ვესტიბულში გამოკრული განცხადება მსურველებს სპორტულ სექციებში იწვევდა. აქვე იყო მეცადინეობის ცხრილიც.

მეთოდისტ გ. ხიდაშელს ჯერ კიდევ ფიზკულტურის ინსტიტუტიდან ვიცნობდით, როგორც მოწინავე სტუდენტსა და სპორტსმენს. სპორტის 5 სახეობაში თანრიგოსანმა შარშან წარჩინებით დაამთავრა ინსტიტუტი და წყალტუბოს მიაშურა სამუშაოდ.

— სამკურნალო ფიზკულტურა საინტერესო დარგია, მაგრამ ვერც ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობას ვუღალატებ, — გვიხსნის გურამი.

მისი სიტყვები საქმემაც დაადასტურა. სანატორიუმის ფიზკულტურული კოლექტივი ერთ-ერთი საუკეთესოა წყალტუბოში. ფიზკულტურა და სპორტი აქ ერთნაირად იზიდავს სანატორიუმის მომსახურე პერსონალსაც და დამსვენებლებსაც.

დამსვენებელთა ყოველი დღე დილის ფიზვარჯიშით იწყება. ასობით ადამიანი გამოდის სავარჯიშოდ. მათ შეჯიბრება აქვთ გაჩაღებული. სართულებს შორის გარდამავალი ჯილდო დააწესეს და რა თქმა უნდა, ყველა სართული ცდილობს კვირის ბოლოს მისი მფლობელი გახდეს.

ფრენბურთის, კალათბურთის, მაგიდის ჩოგბურთის, ბადმინტონის, ჭადრაკისა და შაშის სექციებს საზოგადოებრივი კადრები — ხარაზი გ. ტყეშელაშვილი, აგრონომი ნ. ჯალაღონია, რადისტი ვ. ჩაჩავა და სხვანი — ხელმძღვანელობენ. სისტემატურად ეწყობა შეჯიბრებები სხვადასხვა სახეობაში.

წელს სანატორიუმი 4.000-ზე მეტ დამსვენებელს მოემსახურა. ყველა მათგანი კმაყოფილია აქ გატარებული დღეებით. ეს ჩანს შთაბეჭდილებათა წიგნის სტრიქონებიდან, კედლის გაზეთებიდან, იგრძნობა დამსვენებელთა საუბრიდანაც.

ჩვენც სანატორიუმის კედლის გაზეთში მოთავსებული წერილის იმ სტრიქონებით გვინდა დავამთავროთ, რომლებიც დამსვენებლებს ეკუთვნით:

„ფიზკულტურა, ჯანმრთელობა და მედიცინა აქ ჩინებულადაა შერწყმული — გმადლობთ, მეგობრებო!"

თ. გაჩეჩილაძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).
წყალტუბო.

სამიზნის მოლოდინში.

ფოტოეტიუდი ბ. ქვათაძისა.

ცნობები ცხინვალიდან

„განთიადის" ჯანმრთელობის II სპარტაკიადაში მონაწილეობდა 8 კოლექტივი. პროგრამაში შედიოდა მაგიდის ჩოგბურთი, ჭადრაკი, შაში, ბაგირის გადაძალვა და სროლა.

მცირეკალიბრიანი შაშხანით სროლაში გაიმარჯვა სამკერვალო ფაბრიკის გუნდმა. მაგიდის ჩოგბურთელთა ასპარეზობაში I ადგილი დაიკავა ელექტროვიბრომანქანის ქარხნის კოლექტივმა, ბაგირის გადაძალვაში ყველას აჯობეს ხე-ტყის კომბინატის სპორტსმენებმა.

• • •

ჩატარდა ცხინვალის სპორტკავშირის საქალაქო საბჭოს პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი. სპორტკავშირის საოლქო საბჭოს თავმჯდომარედ არჩევის გამო პლენუმმა ა. თედეევი გაათავისუფლა საქალაქო სპორტკავშირის თავმჯდომარეობიდან.

პლენუმმა ცხინვალის სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ აირჩია გ. ჩიკვილაძე.

ვ. მელქოევი.
(ჩვენი კორ.).

[illegible]

ჭიათურა

ლენინის სახელობის შახტის საჭადრაკო ჩემპიონატში 16 კაცმა მიიღო მონაწილეობა. ჩემპიონის სახელი მძაფრ ბრძოლაში მოიხვეჭა მარკშეიდერმა ქ. მეცხვარიშვილმა. II—III ადგილები გაიყვეს მაღაროს გამგემ ნ. პაპიძემ და მაღაროს პროფკავშირული ორგანიზაციის თავმჯდომარემ ა. მაჭარაშვილმა.

გ. ლაბაძე.

●

წულუკიძე

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის 10 მოჭადრაკე ინტერესით ჩაება სასწავლებლის პირველობაში. შესანიშნავად ითამაშა ვ. პირქუშვილმა, რომელმაც ყველა პარტია მოიგო. II ადგილზე გამოვიდა ჯ. გელაშვილი (7,5 ქულა), III — ი. ძიძიგური (7).

ნ. მენაბდიშვილი.

●

მახარაძე

საინტერესო ბრძოლით აღინიშნა რაიონის ველოსიპედისტთა პირველობა. 25 კილომეტრზე რბოლა მოიგო ანასეულელმა დ. კუპრაძემ — 37.45,0. გამარჯვებულმა შეასრულა II თანრიგის ნორმატივი.

შ. კილურაძე.

„ლელოს" წერილის კვალდაკვალ

„ლიხაურელი „გერები" და „მამინაცვლები"

ამ სათაურით ჩვენი გაზეთის ა. წ. 15 სექტემბრის ნომერში დაბეჭდილი წერილი ეხებოდა მახარაძის რაიონის სოფელ ლიხაურის კოლმეურნეობის ფიზკულტურულ კოლექტივში არსებულ ნაკლოვანებებს.

როგორც მახარაძის სპორტკავშირის თავმჯდომარე ლ. კიშინსკი გვატყობინებს, წერილში აღნიშნული ფაქტები დადასტურდა. კოლმეურნეობის გამგეობამ და პარტიულმა ორგანიზაციამ იმსჯელეს აღნიშნულ საკითხზე და მდგომარეობის გამოსასწორებლად გადადგეს პრაქტიკული ნაბიჯები: ამჟამად მიმდინარეობს ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნების კეთილმოწყობა. ახალგაზრდები უზრუნველყოფილი არიან სპორტული ფორმითა და ინვენტარით.

„ოქროს ჩარდახის" ნორჩი ლაურეატები

მდინარე ოლასკურას ხეობაში 200-ზე მეტმა ქუთაისელმა მოსწავლემ მოიყარა თავი. მათი მონაწილეობით აქ ქალაქის განათლების განყოფილებამ, კომკავშირის საქალაქო კომიტეტმა, პიონერთა და მოსწავლეთა სასახლემ და ტურისტულმა კლუბმა „ოქროს ჩარდახმა" გამართეს ტურისტული შეკრება-შეჯიბრება.

ასპარეზობის პროგრამაში შედიოდა გადასვლა რთულ რელიეფზე ტურისტული საჭურვლით, დაბრკოლების გადალახვა, ბანაკის მოწყობა, კარვის გაშლა და სხვ.

რიგით V საქალაქო შეჯიბრებაში 27 გუნდი გამოდიოდა. მსაჯთა მთავარმა კომისიამ შეაჯამა შეჯიბრების შედეგები და I ადგილი სკოლებს შორის მიაკუთვნა მე-3 სკოლა-ინტერნატის ტურისტთა გუნდს. მომდევნო 4 ადგილი გაინაწილეს მე-17, 22-ე, 23-ე და მე-11 საშუალო სკოლების ნორჩმა მოლაშქრეებმა. პროფტექნიკურ სასწავლებლებს შორის გამარჯვება წილად ხვდა 23-ე პროფტექნიკურ სასწავლებელს.

ამ კოლექტივებს გადაეცათ განათლების განყოფილებისა და ტურისტული კლუბის „ოქროს ჩარდახის" სიგელები.

შ. ნიჟარაძე.
(ჩვენი კორ.).

ქუთაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადამიანი ყველა მწვერვალზე მაღალია

ამას წინათ საქართველოს ალპურ კლუბში მოსკოველმა მთამსვლელმა ე. გიპენრეიტერმა წაიკითხა მოხსენება ჯომოლუნგმაზე ამერიკელთა ექსპედიციის ასვლის შესახებ, რომელიც 1963 წელს ჩატარდა.

ვფიქრობთ, ჩვენი გაზეთის მკითხველებისთვის ამერიკელთა ექსპედიციის ამბავი ინტერესმოკლებული არ იქნება მით უმეტეს, რომ საბჭოთა პრესაში ამ ასვლაზე არავითარი მასალები არ გამოქვეყნებულა.

თეთრი საბურველით შეუსუდრავს პირისახე და სადღაც შორს, ცის ალიერში გაუჩინარებულა. რა არის ასზე მიმზიდველი და საინტერესო, აც დაფარული და შენიღბულია საგულდაგულოდ, რაზედაც არავითარი წარმოდგენა არა გაქვს?!

ჯომოლუნგმა! მწვერვალთა მეფე და მბრძანებელი. მიუღწევლობისა და სიდიადის დიდებული სიმბოლო და ჭეშმარიტი განსახიერება. ვინ გაბედავდა ის კალთებზე ფეხის შედგმას და იმ ჰაერით სუნთქვას, რომლითაც ეს ზვიადი, თეთრი მწვერვალი საზრდოობს?

მაგრამ მოხდა ისე, რომ ადამიანებმა მიუღწეველს მიაღწიეს და ყოველგვარ შიშისმომგვრელ და თავზარდამცემ ცნებებს ჩვეულებრივი, ნაცნობი ჟღერადობა მიანიჭეს. 1956 წელს შვეიცარიელმა მთამსვლელმა ჰილარიმ და შერპათა ტომის წარმომადგენელმა, „კლდის ვეფხვად“ აღიარებულმა თენსინგმა პირველებმა შეარყიეს მსოფლიოში მკვიდრად გამეფებული შეხედულება ევერესტის (ჯომოლუნგმა) შეუვალობის თაობაზე. ხოლო 4 წლის მერე, 1960 წელს, ჩინელმა მოიერიშეებმა ფოლადის წრიაპებით დაკაწრეს მწვერვალის იდუმალებით მოცული სხეული და თითქმის 9 კილომეტრის (8848 მ) სიმაღლიდან გადასძახეს მსოფლიოს: დრო ადამიანისთვის მუშაობს! დრო ჩვენი მეგობარია!

ამერიკელები მესამენი აღმოჩნდნენ კლდოვან სარბიელთან. 1963 წლის დასაწყისში იაპონიისა და ინდოეთის გავლით დაიძრა მათი ქარავანი და შერპების ადგილსამყოფელში ამოყო თავი. ექსპედიციის ხელმძღვანელმა, გამოჩენილმა მთამსვლელმა დირენფურტმა ფრიად კეთილშობილური, სხვა ასვლებისგან განსხვავებული მიზანი დაისახა: მთავარი, რა თქმა უნდა, მწვერვალის დაპყრობაა, მაგრამ ამავე დროს მისი მეცნიერული შესწავლაც არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან!

ეს იყო პირველი მეცნიერული ექსპედიცია ჯომოლუნგმას კალთებზე. დირენფურტის ამ დებულების შესაბამისად იქნა დაკომპლექტებული ალპინისტური ჯგუფი, რომელშიც მწვერვალებზე ასვლის ოსტატებთან ერთად შევიდნენ მთებისა და მყინვარების მეცნიერულ შესწავლასთან დაკავშირებული სპეციალისტები, კინოოპერატორები, ფოტოგრაფები, ფიზიოლოგები, ფსიქოლოგები და ექიმები.

თავდაპირველად შერჩეულ იქნა ასვლის 400 კანდიდატი, რომელშიც 3 ქალიც ერია. შემდგომ სხვადასხვა მიზეზის გამო ზოგიერთი მათგანი მოიხსნა. წმინდა ფიზიოლოგიური თვალსაზრისით უარი ეთქვათ ქალებსაც. მონაწილეთა ხნოვანება განსაზღვრული იყო 25-45 წლით. ექსპედიციის შემადგენლობაში შევიდნენ: კალიფორნიის უნივერსიტეტის დოქტორი, სიმაღლოვანი ფიზიოლოგიის უდიდესი სპეციალისტი ვ. სირი (დირენფურტის მოადგილე და მრჩეველი ყველა კრიტიკულ მომენტში), ვ. ანსონი — ფილოსოფიისა და რელიგიის პროფესორი, ჯ. უიტაკერი — მაღაზიის მენაჯერი, ორმეტრიანი გოლიათი, ძალიან ღონიერი და ენერგიული კაცი. ყოველივე ამით იგი მეტისმეტად წააგავდა ევერესტის პირველ დამპყრობს ჰილარის. ექსპედიციის შემადგენლობაში იყვნენ აგრეთვე 3 ბიზნესმენი და რამდენიმე მასწავლებელი.

მზადება ევერესტზე საიერიშოდ ჯერ კიდევ 1960 წელს დაიწყო. ასვლის მონაწილენი თითქმის არც კი იცნობდნენ ერთმანეთს, მით უმეტეს, ერთად არასდროს უვლიათ. ფიზიკურ წრთობასთან ერთად ამ მზადების ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო ერთმანეთთან კარგად გაცნობა და შეჩვევა.

— მთამსვლელები თვალებითაც ლაპარაკობენ, — უყვარდა თქმა დირენფურტს და დღენიადაგ ძმობასა და ერთგულებას ქადაგებდა.

ჯერ კიდევ 1962 წელს ნეპალში გაგზავნილ იქნა 27 ტონა საჭურველი. ალპინიზმის ისტორიას მსგავსი სამზადისი არ ახსოვდა.

ამ ექსპედიციამ დაარღვია ევერესტის შემმუსვრელთა მანამდელი ტრადიცია — საიერიშოდ მარტ-მაისში გასვლა. ამერიკელებმა შეგნებულად გადაწყვიტეს ამ ოპერაციის ერთი თვით ადრე დაწყება. როგორც ცნობილია, ყოველი ექსპედიცია სამ თვემდე გრძელდება, ქარბუქი კი ჯომოლუნგმაზე მაისიდან იწყება. ამიტომაც იყო, რომ წინა ჯგუფებს ხან ცუდმა ამინდმა მოუსწრო, ხანაც ქარბუქის შიშით ზედმეტად აჩქარდნენ.... დირენფურტის ვარაუდი სწორი გამოდგა.

ნეპალში ჩასვლისთანავე დაქირავებულ იქნა ათასამდე მტვირთავი ტამანგელი და შერპი. გაჩაღდა მუშაობა. მწვერვალზე გაიყოლიეს შერპი და ტამანგელი მეგზური მთამსვლელები. ერთ-ერთი მათგანი იყო ცნობილი „კლდის ვეფხვის“ — თენსინგის ძმისწული განგ-გონგი, რომელიც ამერიკელთა ექსპედიციის კეთილად დაგვირგვინების შემდეგ 1965 წელს მეორედ ავიდა ჯომოლუნგმაზე, ამჯერად ინდოელ მთამსვლელებთან ერთად.

დადგა გამგზავრების დღეც. უკანასკნელი დასახლებული პუნქტიდან — თიანგოჩეს მონასტრიდან რამდენიმე კილომეტრზე გაიჭიმა ადამიანთა ცოცხალი ჯაჭვი და ზევით, მყინვარებისკენ გაუყვა გზას. დღეში 10-20 კილომეტრი რჩებოდა უკან.

მყინვარის გავლას 16 დღე მოუნდნენ. მეთოთხმეტე დღეს მთებმა თავი შეახსენეს მთამსვლელებს და ერთ-ერთი მონაწილე — ჯეკ ბრაიტენბახი მძვლად დაიტოვეს. აი, რას ყვება დაღუპულის ამხანაგი ამ ტრაგედიაზე:

— 9 მეტრი სიმაღლის მყინვარს თავს მოვექეცი და ის იყო თოკი გადავისროლე და მივაძახე — ამოჰყოლოდა, რომ იმ ადგილას, სადაც ბრაიტენბახი და მისი თანხმლები შერპი მეგულებოდნენ, ვეღარავინ შევნიშნე. არც პასუხი მომესმა. და უმალ ვიგრძენი, რომ მეც სადღაც ქვევითკენ მივექანებოდი და საცაა უფსკრულისკენ ვიზამდი პირს... ირგვლივ გაისმა ყინულთა მტვრევისა და შეხლა-შემოხლის გამაყრუებელი ხმა. ამ მომენტში იმისი დადგენაც კი მოვასწარი, აი, როგორი ყოფილა-მეთქი სიკვდილი, მაგრამ დამცველმა თოკმა მიშველა და რაღაც სასწაულით გადავრჩი. როცა ყველაფერი მიწყნარდა, იქით დავეშვი, საიდანაც ადამიანის უცნაური ხვრინვა მომესმა. ბრაიტენბახის თანამეწყვილე შერპი აღმოჩნდა. იგი თავდაყირა ეკიდა თოკზე და ფეხებს ასავსავებდა უმწეოდ. ამ დროს სხვებიც მოვიდნენ და ის საბრალო შერპი ყინულებს გამოვტაცეთ. თოკის მეორე ბოლო სხვა ნაპრალში იკარგებოდა, მაგრამ ისე იყო ჩაჭედილი და იმდენი თოვლი აწვა ზევიდან, რომ ამხანაგის გადარჩენის ყოველგვარი იმედი დაგვეკარგა. იძულებული გავხდით გაგვეჭრა ბაწარი...

ეს იყო რიგით მეცამეტე მთამსვლელი — მსხვერპლი ჯომოლუნგმასი.

30 მარტს მოიერიშეები სამხრეთის უღელტეხილზე გავიდნენ, რომელიც ცნობილია განსაცვიფრებელი სიძლიერის ქარბუქით. აქ დახვდათ წინა ექსპედიციის მიერ დატოვებული ჟანგბადის დაცლილი ბალონები და სხვა ნივთები, აგრეთვე ორი მკვდარი არწივი, რომლებიც გრიგალს დაენარცხებინა მიწაზე.

პირველი წყვილი უღელტეხილიდან დილით უთენია გაემართა მწვერვალისკენ. ესენი იყვნენ უიტაკერი და განგგონგი. ისინი დინჯად მიდიოდნენ და საათში ორ ბოთლამდე ჟანგბადს ხარჯავდნენ. მათ უკან გაჰყვა დირენფურტი მეგზური შერპითურთ. ხანდაზმულობის გამო დირენფურტი არც აპირებდა ჯომოლუნგმაზე ასვლას და მისი მიზანი სამხრეთის მწვერვალის, ან, როგორც სხვანაირად უწოდებენ, მცირე ჯომოლუნგმას დაპყრობა იყო. იგი ამითაც კმაყოფილი იქნებოდა, მაგრამ ექსპედიციის მოთავეს მუხლებმა უმტყუნა და შერპი თანამგზავრის ყოჩაღობის მიუხედავად, შუა გზიდან გამობრუნდა. ამასობაში უიტაკერი და განგგონგი მშვიდად განაგრძობდნენ გზას და მალე მწვერვალის მისადგომსაც მიაღწიეს.

რამდენიმე ნაბიჯიც და... ისინი ყველაზე მაღალი ადამიანები იყვნენ ამ წუთში. უიტაკერმა უთხრა თავის ამხანაგს:

— განგ-გონგ, მიდი პირველი, შენ აქაური ხარ და უფრო გეკუთვნის...

მაგრამ ზრდილობიანმა მთიელმა უარის ნიშნად თავი გააქნია:

— ხედავ, აქ საკმარისი ადგილია. მწვერვალი ორივეს დაგვიტევს...

ისინი ხელგადახვეულნი გავიდნენ ბექობზე და ერთდროულად შედგნენ მწვერვალზე.

უიტაკერმა სურათი გადაუღო განგგონგს. მერე აპარატი მომართა და შერპს გადასცა. იმანაც თავმომწონედ დააჩხაკუნა რკინის ნივთი და გაიღიმა. უიტაკერმა ამერიკის დროშა დაარჭო თოვლზე, ხოლო შერპმა — თენსინგის მიერ გამოტანებული ბაზმა. მერე ძირს დაეშვნენ. ისევე ნელა მიდიოდნენ, როგორც ამოსვლისას.

მეორე ჯგუფი, რომელსაც სხვა მხრიდან უნდა დაელაშქრა ჯომოლუნგმა, ჟანგბადის უკმარობის გამო უკან გაბრუნდა და მაშველ ძალაში გადაიზარდა. ექსპედიციას ებრძანა ქვევით დაშვება. მსხვერპლი მეტი არ ყოფილა. ეს იყო: ორი ამერიკელი სისხლის შედედებით დაავადდა, რაც ხშირ სუნთქვასა და ორგანიზმიდან სითხის არანორმალურ აორთქლებასთან იყო დაკავშირებული. მაგრამ ამერიკელები მომზადებული შეხვდნენ ტრომბოზს და ადგილზევე მიიღეს ზომები. მერე, ქვევით ჩასვლისთანავე, გამოძახებულ იქნა თვითმფრინავი, რომელმაც წაიყვანა ავადმყოფები.

როცა ყველაფერი დაცხრა და დაწყნარდა, ატყდა კამათი იმაზე, თუ ვინ იყო დამნაშავე მეორე ჯგუფის წარუმატებლობაში. მათ ხომ, ფაქტიურად, ჟანგბადის უკმარობის გამო მოუხდათ უკან დაბრუნება. ყველაფერი ჟანგბადის რაციონის შემდგენლებს დააბრალეს...

რამდენიმე დღის შემდეგ ამერიკელთა ბანაკიდან გავიდა მეორე, შედარებით მცირერიცხოვანი ჯგუფი, რომელსაც მწვერვალის ტრავერსი უნდა მოეხდინა, განეხორციელებინა სხვადასხვა მხრიდან ჯომოლუნგმაზე ერთდროული ასვლა და სრულმეტრაჟიანი ფილმის გადაღება. ყოველივე ეს წარმატებით იქნა განხორციელებული.

აი, რას წერენ თავიანთ მოგონებებში ამ ასვლის მონაწილეები ლ. ჯერსტედი და ბ. ბიშოპი:

— ეს იყო ბოლო, მეექვსე ბანაკი. ტანსაცმლიანად ჩავძვერით საძილე ტომრებში, კარვის კარი მაგრად მივიხურეთ და დასაძინებლად მივწექით. უცბად პრიმუსი აფეთქდა და ჟანგბადით გაჯერებულ კარავში ისეთმა ალმა იძალა, რომ ორივეს გრძლად მოშვებული წვერი სულ შეგვეტრუსა. დაფეთებულნი გამოსასვლელს ვეძებდით. კარის გაღება რომ ვერ მოვახერხეთ, კარავი სადანედ გავიმეტეთ და გარეთ გავძვერით. ცოტა დაგვაკლდა, კინაღამ უფსკრულში გადავიჩეხეთ. მერეღა მოვახერხეთ ალის ჩაქრობა. მაგრამ გვიან იყო: ჟანგბადის მარაგის თითქმის ნახევარი ქარს გავატანეთ...

ასე დამთავრდა უდიდესი ექსპედიცია ევერესტზე. მიუხედავად მსხვერპლისა, იგი წარმატებით იქნა დაგვირგვინებული.

მალე გაზეთების ფურცლებზე გამოჩნდა იმ ბედნიერ ადამიანთა სახელები, რომლებმაც ფეხი შესდგეს ჯომოლუნგმაზე. ესენი იყვნენ: უიტაკერი, ჯერსტედი, ბიშოპი, ანსოლდი, ჰორბეინი და განგ-გონგი.

ყველა მონაწილეს გადაეცა მთავრობის უმაღლესი ჯილდო, ამერიკის გეოგრაფიული საზოგადოების ასოციაციის ოქროს მედალი. დაჯილდოვდნენ შერპებიც. მედლების გადაცემის ცერემონიალი მოხდა თეთრ სახლში. გამარჯვებულებს მიულოცა ამერიკის აწ განსვენებულმა პრეზიდენტმა კენედიმ.

აღსანიშნავია, რომ ამ ექსპედიციას აფინანსებდნენ ისეთი მძლავრი საზოგადოებები, როგორებიცაა შეერთებული შტატების კოსმოსური კვლევის ასოციაცია, გეოგრაფიული კავშირი, მეცნიერებათა აკადემია და სხვ. ექსპედიციამ დახარჯა 4,5 მილიონამდე დოლარი.

ჯომოლუნგმაზე იერიში გრძელდება. მსოფლიოს უმაღლეს მწვერვალს დღითიდღე ეცლება იდუმალების ბურუსი — ადამიანი ყველა მწვერვალზე ძლიერი და მაღალია! ამის კიდევ ერთი დადასტურებაა ინდოელთა წლევანდელი ასვლა ჯომოლუნგმაზე.

მირონ ხერგიანი.

მთამსვლელი

მთების კალთებთან ჩერდება წამით
და თავზე მკაცრი მწვერვალი
დაჰმზერს,
და როგორც ზღვაზე გასული ნავი,
ის ეგებება ქარიშხლებს გზაზე.

ახალ, ბეჭმაღალ სიმაღლეს უმზერს:
იხსნება მთათა ცხოვრების რუკა,
დაეკიდება ჰაერში უცებ, —
ხახამშრალ უფსკრულს დასტოვებს
უკან.

მთა ხედავს —
ვიღაც აბიჯებს გულზე
და ძირს ანარცხებს ფიალას
დაცლილს...
მთა
მთამსვლელს
ახლა
ქვემოდან
უმზერს
და უკვირს,
უკვირს
სიმაღლე კაცის.

ზ. მირნელი.



ორიგინალური ნომრებით წარმოსდგა თბილისის ცირკში მოროზოვების ოჯახი. მის მუსიკალურ ატრაქციონში დიდი ადგილი უჭირავს... სპორტს. და აი, როგორ: მსახიობები მორიგეობით ისვრიან მშვილდისარს სამიზნეებში, რომლებიც სხვადასხვა ნოტის ხმას გამოსცემენ, ამ ხმებისაგან კი ერთიანი, საამო მელოდია იქმნება. ასეთივე მუსიკალურია მაგიდის ჩოგბურთის თამაში და ფარიკაობა — ბურთის ზუსტად საჭირო ადგილზე მოხვედრებით თუ „ხმლის“ დარტყმით მსახიობები სასურველ ბგერებს „პოულობენ“ და სხვა საკრავთა თანხლებით ამა თუ იმ მუსიკალური ნაწარმოების შემსრულებელ „სოლისტებად“ გვევლინებიან.

მოროზოვების გამოსვლამ თბილისელი მაყურებლის დიდი ინტერესი გამოიწვია.

სურათებზე: მოროზოვების მუსიკალური ატრაქციონი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

სპორტი [illegible]

ვ. ჩკალოვის სახელობის პრიზზე

◆

„თოვლიანი კავალერიის გენერლის“ მემორიალი

● **კუნცევო** (მოსკოვის ოლქი), **20 დეკემბერი.** ქალაქის მიდამოებში მეტისმეტად ძნელ, მოყინულ ტრასაზე გუშინ გაიმართა ტრადიციული მოტოკროსი საბჭოთა კავშირის გმირის ვ. ჩკალოვის სახელობის პრიზზე. საერთო გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს პოდოლსკის ახალგაზრდა მოტოციკლისტებმა. მთავარი პრიზი — ფაიფურის ვეება სურა, რომელზეც დახატულია ცნობილი მფრინავის პორტრეტი — გამარჯვებულებს გადასცა ამ შეჯიბრებათა უცვლელმა მსაჯმა, გმირის მეუღლემ ო. ჩკალოვამ.

● *ნოვოსიბირსკი, 20 დეკემბერი.* ციმბირის პირველი სპორტის ოსტატის ფ. ივაჩოვის სახელობის პრიზის გათამაშებამ უძლიერეს მოთხილამურეებს მოუყარა თავი. შესანიშნავი სპორტსმენი დიდ სამამულო ომში ციმბირელ მოთხილამურეთა ათასეულის მეთაური იყო და გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე. მისი მამაცობა სიკვდილის შემდეგ ლენინის ორდენით აღნიშნეს. ფრონტელები ივაჩოვს „თოვლიანი კავალერიის გენერალს“ უწოდებდნენ. წლევანდელი მემორიალის სტარტზე 160-ზე მეტი ციმბირელი სპორტსმენი გამოვიდა. 30-კილომეტრიან რბოლა მოიგო კემეროვოს პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტმა დ. იარლიკოვმა — 1:42.10,0. 10 კილომეტრზე ქალთა რბოლაში საუკეთესო იყო რსფსრ-ს ჩემპიონი ვ. ზირიანოვა (ნოვოსიბირსკი) — 40.08,0.

▲ **სიდნეი**, 20 დეკემბერი. ფინიშის შემდეგ კ. კეინომ თქვა, რომ მხოლოდ ძლიერმა ქარმა შეუშალა მას ხელი მსოფლიო რეკორდის დამყარებაში. ადგილობრივი „სპორტსგრაუნდის“ სტადიონის ბალახიან ბილიკზე მან 2 მილი გაირბინა 8 წუთსა და 25,2 წამში. ეს შედეგი აღემატება ამერიკელი შიულის ოფიციალურ მსოფლიო რეკორდს, მაგრამ ჩამოუვარდება ჟაზის (საფრანგეთი) მიერ წლეულს ზაფხულში მოპოვებულ მაჩვენებელს, რომელიც მსოფლიო რეკორდად ჯერ არ დაუმტკიცებიათ.

▲ **პარიზი**, 20 დეკემბერი. გასულ სეზონში დაუმარცხებელმა ფრანგმა სამთო-მოთხილამურემ ჟანკლოდ კილიმ წლევანდელი სეზონიც წარმატებით დაიწყო: იგი უძლიერესი იყო ვალ-დ'იზერის (საფრანგეთის ალპები) ფერდობებზე გამართულ სწრაფდაშვების — „პირველი თოვლის კრიტერიუმის“ ტრასაზე. კილიმ ბევრი ვარსკვლავი ჩამოიტოვა უკან და 2900 მეტრზე (სიმაღლეთა სხვაობა 850 მ) აჩვენა 2.17,04.

▲ **ტოკიო**, 20 დეკემბერი. 1965 წლის სეზონის მიხედვით იაპონიის საუკეთესო სპორტსმენად მიჩნეულია ფუკუოკას უნივერსიტეტის სტუდენტი, 25 წლის მორიო სიგემაცუ. ამ ახალგაზრდა სტაიერმა თავი გამოიჩინა წლევანდელ „ბოსტონის მარათონში“ გამარჯვებით, სადაც აჩვენა ამ შეჯიბრებათა მრავალწლიან ისტორიაში ყველაზე უფრო „სწრაფი“ დრო.

▲ **ბრიუსელი**, 20 დეკემბერი. მსოფლიოს უძლიერეს სტაიერთათვის ზამთარი კროსების დროა. დაბა ერემბოდეჰემში გამართული კროსი მოიგო ტოკიოს ოლიმპიადის „ოქროს“ მფლობელმა 3000 მეტრზე წინაღობებით რბენაში, ბელგიელმა გ. რულანტსმა. ტოკიოს ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი 5000 მეტრზე რბენაში ჰ. ნორპოტი ფინიშთან II იყო.

▲ **ტიტოგრადი**, 20 დეკემბერი. აქ დამთავრდა იუგოსლავიის მოჭადრაკე ვაჟთა XXI ჩემპიონატი. უძლიერესის [illegible] დიდოსტატმა ს. გლიგორიჩმა. II—III ადგილები გაიყვეს დიდოსტატებმა ბ. ივკოვმა და ბ. პარმამ.

▲ **ნიუ-იორკი**, 20 დეკემბერი. საინტერესოდ მიმდინარეობს ამერიკის შეერთებული შტატების ვაჟთა საჭადრაკო ჩემპიონატი. V ტურში რ. ფიშერმა დაამარცხა ა. ბისგაიერი და 4,5 ქულით ტურნირის ერთპიროვნული ლიდერი გახდა.

ბრძნული გადაწყვეტილება

ერთ-ერთ ბოლო ნომერში გდრ-ის გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი“ წერდა, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ მადრიდის სესიაზე მიღებული გადაწყვეტილებები პოზიციის შეცვლას აიძულებენ ორივე გერმანული სახელმწიფოს სპორტსმენთა შორის მეგობრული ურთიერთობის დამყარების ყველაზე უფრო აშკარა მოწინააღმდეგეებსაც კი. როგორც ცნობილია, მადრიდში საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა საბოლოოდ აღიარა თავის სრულუფლებიან წევრად გდრ-ის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი. ამან მთლიანად გაანადგურა ჰალშტეინის ყბადაღებული დოქტრინა, რომელსაც შპორტბუნდის პრეზიდენტი ვ. დაუმე და სხვა მისთანანი ქადაგებდნენ.

შპორტბუნდის მორიგ სესიაზე დასავლეთგერმანული ფედერაციებისა და სპორტული გაერთიანებების უმრავლესობამ გფრ-ის ასობით ათასი რიგითი სპორტსმენის სახელით გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ათლეტებთან სპორტული კონტაქტების განახლება მოითხოვა, რაც შპორტბუნდის მიერ 1961 წლის 16 აგვისტოს დიუსელდორფში მიღებული გადაწყვეტილებით აკრძალული იყო. დასავლეთ გერმანიის ყველაზე რეაქციულმა გაზეთმა „დი ველტმაც“ კი, რომელიც თავის დროზე აღფრთოვანებით შეხვდა გდრ-თან სპორტული კონტაქტების შეწყვეტას, ახლა დიუსელდორფის გადაწყვეტილების გაუქმების აუცილებლობაზე საქვეყნოდ წამოიწყო ლაპარაკი. ერთ-ერთ უკანასკნელ ნომერში ეს გაზეთი წერდა: „ამჟამად შექმნილ სიტუაციაში დიუსელდორფში მიღებული გადაწყვეტილება უბრალოდ უაზროა და მხოლოდ საკუთარი თავის მოჭრას ნიშნავს“.

ყოველივე ამან იმოქმედა შპორტბუნდის ხელმძღვანელობაზე. როგორც გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი“ წერს, ამ დღეებში შპორტბუნდმა გერმანიის სპორტულ-სატანვარჯიშო კავშირს (გდრ) წერილი გაუგზავნა, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია, რომ გფრ-ის სპორტული კავშირის მთავარი კომიტეტი უცილობლად მიიჩნევს დიუსელდორფის გადაწყვეტილების გაუქმებას.

მაგრამ როცა დასავლეთ გერმანიის სპორტული ხელმძღვანელობის პოზიტიურ ნაბიჯებზე ვლაპარაკობთ, შეუძლებელია არ აღინიშნოს ხანგრძლივი კამპანია, რომელსაც ეწევა შპორტბუნდის ზოგიერთი ხელმძღვანელი ოლიმპიურ თამაშებში გდრ-ის ცალკე გუნდად გამოყვანის საწინააღმდეგოდ. ბატონ დაუმეს, მაგალითად, ასეთი არგუმენტი მოჰყავს: გერმანიის გაერთიანებული გუნდი თუნდაც მხოლოდ იმიტომაა აუცილებელი, რომ გდრ-ის სპორტსმენებს საფრანგეთის ხელისუფლება გრენობლში არ დაუშვებს, ვინაიდან ნატო-ს ფარგლებში არსებობს ამგვარი შეთანხმება

ასეთი ხრიკი ნამდვილად უსაფუძვლოა. ეს ახლახან დაამტკიცა გდრ-ის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტის გ. ჰაინცის ვიზიტმა გრენობლში. აქ მას მიართვეს 1967 წლის წინასაოლიმპიადო შეჯიბრებებში გდრ-ის სპორტსმენთა ოფიციალური მიწვევა და აგრეთვე დაპირება, რომ გდრ-ის სპორტსმენები ზამთრის ოლიმპიადაზე ვიზების მიღებისას ამიერიდან არავითარ სიძნელეებს არ წააწყდებიან. ეს საკითხი საორგანიზაციო კომიტეტის მიერ უკვე შეთანხმებულია საფრანგეთის ხელისუფლებთან.

„სინამდვილე დღითი-დღე სულ უფრო გვარწმუნებს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ბრძნული გადაწყვეტილების სისწორეში“, — წერს „ნოიეს დოიჩლანდი“.

სურათზე: გ. რულანტსი 3000 მ წინაღობებით რბენის დისტანციაზე.

ფოტო „სტადიონისა“ (ჩეხოსლოვაკია).

ფეხბურთი

„ინტერი“ დაწინაურდა

კვირას, იტალიის ჩემპიონატის XIII ტურში, გენუას „სამპდორია“ საკუთარ მინდორზე შეხვდა მილანის „ინტერნაციონალეს“. ჩემპიონის უპირატესობა აშკარა იყო. მე-12 წუთზე მილანელთა მცველმა ფაკეტიმ გახსნა ანგარიში — 1:0 (ეს მისი მეექვსე გოლია ჩემპიონატში). შესვენებამდე ბედინმა გაიტანა მეორე გოლი — 2:0. მეორე ტაიმში „ინტერმა“ კიდევ სამჯერ (ორჯერ მაცოლამ და ჟაირმა) დააწყებინა მასპინძლებს თამაში ცენტრიდან. ამრიგად, ანგარიშია 5:0.

ფლორენციაში ადგილობრივი „ფიორენტინას“ და „ნაპოლის“ მატჩზე ათასობით ნეაპოლელი გულშემატკივარი ჩამოვიდა. ნეაპოლელები, რომელთა რიგებში იყვნენ სივორი და ალტაფინი, ბევრს უტევდნენ, მაგრამ ამაოდ. არც მასპინძლები „დარჩენილან ვალში“: მარჯვენა გარემარბმა ჰამრინმა სამჯერ დააცილა ბურთი ცარიელ კარს. მატჩი ფრედ დამთავრდა — 0:0.

შეუპოვარი იყო მატჩი მილანის „სან-სიროზე“ „მილანსა“ და ტურინის „იუვენტუსს“ შორის. ანგარიში ტურინელებმა (ჩინეზინიო) გახსნეს, მაგრამ მილანელი სორმანის ორმა საპასუხო გოლმა მასპინძლებს გამარჯვება მოუტანა — 2:1.

ტურის დანარჩენი შედეგებია: „კალიარი“ — „ლაციო“ 3:0, „რომა“ — „ბრეშია“ — 1:1, „სპალი“ — „ატალანტა“ 3:1, „ტორინო“ — „ბოლონია“ 2:4, „ვირეზე“ — „კატანია“ 1:2.

სატურნირო ცხრილში ახლა ასეთი მდგომარეობაა:

	თ.	ბ.	ქ.
„ინტერნაციონალე“	13	27:10	20
„ნაპოლი“	13	22:11	19
„მილანი“	13	23:13	18
„იუვენტუსი“	13	15:6	17
„ბოლონია“	13	25:19	16
„ფიორენტინა“	13	17:11	15
„ლანეროსი“	13	19:17	14
„კალიარი“	13	14:9	13
„რომა“	13	13:12	13
„ლაციო“	13	12:14	13
„სპალი“	13	18:19	12
„ბრეშია“	13	13:15	12
„ტორინო“	13	12:15	12
„ფოჯა“	13	11:12	11
„ატალანტა“	13	11:16	11
„სამპდორია“	13	8:22	8
„კატანია“	13	10:25	8
„ვარეზე“	13	9:31	2

(საქ. ინფ.)

რედაქტორის მაგიერ
ზ. ჯაფარიძე.

პასუხი...

აზიაში უძლიერესნი

● **შეკითხვა**: უკანასკნელ წლებში აზიის ათლეტებმა მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს მძლეოსნობაში. ამ კონტინენტის სპორტსმენთა ზოგიერთი მაჩვენებელი გაუტოლდა საერთაშორისო კლასის შედეგებს. როგორია აზიის რეკორდები მძლეოსნობაში? განსაკუთრებით გვაინტერესებს ვაჟთა მიღწევები.

გ. კუპრავა, ნ. აბაშიძე.

თბილისი.

● **პასუხი**: აზიის მძლეოსან ვაჟთა რეკორდების ცხრილი სადღეისოდ ასეთია:

სახეობა	შედეგი	რეკორდსმენი	დამყარების ადგილი	თარიღი
100 მ	10,0	ჩენ ჩია-კუანი (ჩინეთი)	ჩუნცინი	24. X. 1965
200 მ	20,7	მილკა სინგხი (ინდოეთი)	ლახორი	31. I. 1960
400 მ	45,6	მილკა სინგხი (ინდოეთი)	რომი	6. IX. 1960
800 მ	1.47,4	მამორუ ბორიმოტო (იაპონია)	მაინცი	11. VI. 1964
1.500 მ	3.45,8	საციო ივაშიტა (იაპონია)	ბუდაპეშტი	20. VI. 1964
3.000 მ	8.00,8	კაისიკა სავაკი (იაპონია)	ლიმბეკი	18. VIII. 1965
5.000 მ	13.45,2	კაისიკა სავაკი (იაპონია)	ბუდაპეშტი	27. VIII. 1965
10.000 მ	28.52,6	კოკიში ცუბურაი (იაპონია)	საპორო	27. VIII. 1964
110 მ თარჯრბენი	13,5	ცუი ლინი (ჩინეთი)	უხანი	15. XI. 1965
400 მ თარჯრბენი	51,1	კეიკო იციმა (იაპონია)	ფუძისავა	13. VII. 1962
3.000 მ წინაღობებით	8.45,4	კენცი ოკუზავა (იაპონია)	ცურუოკა	23. IX. 1964
სიმაღლეზე ხტომა	225	ნიჩჟა-ცინი (ჩინეთი)	უხანი	20. XI. 1965
ჭოკით ხტომა	5,00	იან ჩუან-კვანი (ფორმოზა)	ბრემერჰაფენი	27. X. 1963
სიგრძეზე ხტომა	798	შუხეი ნამბუ (იაპონია)	ტოკიო	27. X. 1931
სამხტომი	16,58	ტენ ჩაო-ჩუნგი (ჩინეთი)	პეკინი	3. VI. 1964
ბირთვი	17,30	ხო რუნგ ხიენი (ჩინეთი)	დირენი	29. VIII. 1964
ბადრო	53,48	კუნ ჩჟა-იუანი (ჩინეთი)	პეკინი	24. VIII. 1959
ურო	67,73	ტაკეო სუგივარა (იაპონია)	ხივინკე	26. VI. 1963
შუბი	78,51	ტაკასი მიკეი (იაპონია)	ცურუოკა	9. V. 1964
ათჭიდი	8.089	იან ჩუან-კვანი (ფორმოზა)	ბალტიმორა	28. IV. 1963
ესტაფეტა 4×400 მ	3:08,8	ინდოეთი	ტოკიო	20. X. 1964
ესტაფეტა 4×400 მ	3.08,8	ინდოეთი	ტოკიო	20. X. 1964

თბილისის სპორტულ [illegible]

ძალოსნობა. ლენინის სახ. სპორტდარბაზი (კონსტიტუციის ქ. № 6). 22-23 დეკემბერი. ქალაქის პირადი პირველობა ახალგაზრდა სპორტსმენთა შორის. დასაწყისი 18 ს.

შაში. ტრანსპორტის სამმართველოს დარბაზი (ტელმანის ქ. № 8). 22-24 დეკემბერი. საქართველოს პირველობა. დასაწყისი 16 ს.

სპორტული საღამო. სპორტის სასახლე. 28 დეკემბერი. „გამარჯვებულთა ზეიმი“ — მსოფლიოს, ევროპისა და სსრ კავშირის სარბიელზე სახელმოხვეჭილ ქართველ სპორტსმენთა შეხვედრა სპორტის გულშემატკივრებთან. დასაწყისი 19 ს. მიიღება განაცხადები კოლექტიურ დასწრებაზე. ტელეფონები: 7-20-54, 7-01-55, 7-23-04.

ИНДЕКС 66448 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 05753